

დამტკიცებულია:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
19.02.2019 წ. ოქმი #2

შეტანილია ცვლილებები:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:
15.05.2019 წ. ოქმი #5

სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის”
წესი
ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ
(ახალი რედაქცია)

სარჩევი

თავი I. განმარტებები	4
მუხლი 1. განმარტებათა მოქმედების სფერო.....	4
მუხლი 2. განმარტებული ტერმინები.....	4
თავი II. ზოგადი დებულებები.....	10
მუხლი 3. წესების მოქმედების სფერო.....	10
მუხლი 4. ცენტრალური დეპოზიტარის უფლებები	11
მუხლი 5. სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო.....	11
მუხლი 6. უცხოური დეპოზიტარები.....	12
მუხლი 7. ურთიერთობები გარე პირებთან	12
მუხლი 8. დავთრები და ჩანაწერები	13
მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალურობა	13
მუხლი 10. მომსახურების ტარიფები და სანქციები წესების დარღვევისთვის	14
თავი III. მონაწილეები	14
მუხლი 11. მონაწილეთა სახეობები.....	14
მუხლი 12. მოთხოვნები კანდიდატის მონაწილედ დაშვებისთვის	15
მუხლი 13. კანდიდატის სისტემის მონაწილედ დაშვება.....	15
მუხლი 14. მონაწილის პასუხისმგებლობა.....	15
მუხლი 15. მონაწილის მიმართ შესაძლო ქმედებები.....	16
მუხლი 16. მონაწილის კლიენტის რეგისტრაცია	16
მუხლი 17. მონაწილის კლიენტის მიმართ შესაძლო ქმედებები.....	17
თავი IV. დაშვებული ფასიანი ქაღალდები.....	18
მუხლი 18. ფასიანი ქაღალდების დაშვება	18
მუხლი 19. დაშვებულ ფასიან ქაღალდზე ოპერაციების შეჩერება და განახლება.....	19
მუხლი 20. დაშვებული ფასიანი ქაღალდის ამოღება სისტემიდან.....	19
თავი V. ფასიანი ქაღალდების ანგარიშები.....	20
მუხლი 21. ზოგადი დებულებები	20
თავი VI. შენახვის ანგარიშები	22
მუხლი 22. შენახვის ანგარიშის გახსნა.....	22
მუხლი 23. შენახვის ანგარიშის დაბლოკვა (Block), აქტივაცია (Activate).....	22
მუხლი 24. ფასიანი ქაღალდების დეპონირება და გატანა	22
მუხლი 25. სისტემაში მონაწილის მიერ ფასიანი ქაღალდებზე განხორციელებული ოპერაციები.....	23

მუხლი 26. ცვლილებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული გარიგებებთან	24
თავი VII. ფულადი სახსრების ანგარიშები და სავაჭრო ლიმიტები.....	24
მუხლი 27. ფულადი სახსრების ანგარიშები.....	24
მუხლი 28. სავაჭრო ლიმიტი (trading ceiling)	25
მუხლი 29. ფულადი ანგარიშსწორების განხორციელება	25
თავი VIII. გარიგებასთან დაკავშირებული წინასავაჭრო და ვაჭრობის შემდგომი პროცედურები	26
მუხლი 30. წინასავაჭრო პროცედურები.....	26
მუხლი 31. ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების გამოყენება საბირჟო გარიგების ანგარიშსწორებისათვის	26
მუხლი 32. საბირჟო გარიგების კლირინგი და ანგარიშსწორება	27
თავი IX. არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება.....	27
მუხლი 33. სისტემის მეშვეობით დადებული არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება..	27
თავი X. კორპორაციული ქმედებები	28
მუხლი 34. ცენტრალური დეპოზიტარის ვალდებულებები კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებით.....	28
თავი XI. ანგარიშგება.....	29
მუხლი 35. ანგარიშგება ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებისათვის	29
მუხლი 36. უზუსტობები.....	29
თავი XII. პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია, ცვლილებები და დამატებები.....	29
მუხლი 37. შეზღუდვა პასუხისმგებლობაზე.....	29
მუხლი 38. ცენტრალური დეპოზიტარის გამიჯვნა მონაწილის პასუხისმგებლობისაგან	30
მუხლი 39. ფორს-მაჟორი.....	30
მუხლი 40. კომუნიკაცია	30
მუხლი 41. ცვლილებები და დამატებები.....	31
თავი XIII. გარდამავალი დებულებები	32
მუხლი 42. გარდამავალი დებულებები.....	32
დანართი №1	33
დანართი №2	37
დანართი №3	40

თავი I. განმარტებები

მუხლი 1. განმარტებათა მოქმედების სფერო

- 1.1 სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის (შემდგომში „ცენტრალური დეპოზიტარი“ / „დეპოზიტარი“) ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წინამდებარე წესში, ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებში და, აგრეთვე, ხელშეკრულებებში, რომელის ერთ-ერთი მხარეა ცენტრალური დეპოზიტარი, ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინის მნიშვნელობა განსხვავდება ქვემოთ მოყვანილი განსაზღვრებებისგან.
- 1.2 თუ ტერმინი არ არის განმარტებული წინამდებარე წესის მე-2 მუხლში მას გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. განმარტებული ტერმინები

- 2.1 კანონი - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- 2.2 ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობა - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე (ან სამართლებრივი) აქტების ერთობლიობა.
- 2.3 პირი - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.
- 2.4 მონაწილე - ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო-საანგარიშსწორებო სისტემაში ჩართული პირი, რომელიც აკმაყოფილებს III თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წევრები ავტომატურად არიან ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილეები.
- 2.5 მომხმარებელი - მონაწილის თანამშრომელი, რომელიც არის სისტემის მომხმარებელი და სარგებლობს სისტემაში მის სახელზე გაცემული ინდივიდუალური წვდომის ელექტრონული გასაღებით (შემდგომში „თოქენი“).
- 2.6 წევრი - მონაწილე, რომელსაც უფლება აქვს გახდეს ცენტრალური დეპოზიტარის წევრი კანონის და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, აკმაყოფილებს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა შესახებ დებულების” მოთხოვნებს, გაფორმებული აქვს შესაბამისი (წევრობის, მომსახურების) ხელშეკრულება და უფლება აქვს მიიღოს

ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სახის მომსახურება.

- 2.7 კასტოდინი - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომელიც, როგორც ნომინალური მფლობელი, ინახავს და აღრიცხავს თავისი კლიენტების ფასიან ქაღალდებს ცენტრალურ დეპოზიტარში საკუთარი აქტივებისგან განცალკევებულად.
- 2.8 კასტოდინური მომსახურება - ნომინალური მფლობელობის ფარგლებში, კლიენტების ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების აღრიცხვა და შენახვა, მომსახურების გაწევა, მათ შორის მართვისა და მეურვეობის უფლებით.
- 2.9 ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი - პირი, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი ხელშეკრულების საფუძველზე უწევს დეპოზიტარულ მომსახურებას და რომელსაც შესაძლოა გაეხსნას შემნახველი ანგარიში.
- 2.10 მონაწილის კლიენტი - პირი, რომელიც შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულია ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილესთან.
- 2.11 მარეგულირებელი ორგანო - ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო.
- 2.12 ბირჟა - კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, რომელსაც მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი.
- 2.13 ოპერაცია - გარიგება, ან სხვა ტიპის ტრანზაქცია (ანგარიშსწორების ჩათვლით), რომელიც დაკავშირებულია ფასიან ქაღალდებთან ან/და ფულად სახსრებთან.
- 2.14 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი:
- ა) ადგილობრივი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან ცენტრალური დეპოზიტარი;
 - ბ) სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს ეროვნული ბანკი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი;
 - გ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან ცენტრალური დეპოზიტარი ან საქართველოს ეროვნული ბანკი;
 - დ) უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარი ან უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური

დეპოზიტარი ან მათი კლიენტი/წარმომადგენელი რეზიდენტი ან არარეზიდენტი კასტოდირი/კომერციული ბანკი ან უცხო ქვეყნის უფლებამოსილი რეგისტრატორი.

- 2.15 ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო-საანგარიშსწორებო სისტემა (შემდგომში - „სისტემა“) - სისტემა, რომლის მეშვეობით ხორციელდება ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტების ანგარიშების გახსნა, საინვესტიციო აქტივების აღრიცხვა-შენახვა, კლიენტების ანგარიშებთან და აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულება, დადებული გარიგებების კლირინგი და ანგარიშსწორება და სხვა მომსახურების უზრუნველყოფა.
- 2.16 ცენტრალური დეპოზიტარის ძველი სააღრიცხვო-საანგარიშსწორებო სისტემა (შემდგომში „ძველი სისტემა“) - სისტემა, რომელიც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება სისტემის პარალელურად.
- 2.17 გარდამავალი პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დეპოზიტარი სისტემის პარალელურად იყენებს ძველ სისტემას.
- 2.18 ანგარიში - ფასიანი ქაღალდების შენახვის ანგარიში - ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ინახება ცენტრალური დეპოზიტარში და ასახავს ანგარიშის მფლობელის საკუთრებაში ან ნომინალურ მფლობელობაში არსებულ საინვესტიციო აქტივებს. ანგარიშები შეიძლება იყოს:
- ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის საკუთარი ანგარიში
 - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის ნომინალური მფლობელობის (კლიენტების აქტივების) ანგარიში
 - ომნიბუსი
 - ომნიბუს-სეგრეგირებული (სახელობითი)
 - სეგრეგირებული
- 2.19 ანგარიშის მფლობელი - ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომლის სახელიც რეგისტრირებული მფლობელის (რეგისტრირებული მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი) სტატუსით არის აღნიშნული რომელიმე ანგარიშზე ცენტრალურ დეპოზიტარში და რომელსაც აქვს ამ ანგარიშზე ოპერაციების წარმოების უფლება ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად.
- 2.20 შენახვის ანგარიში - ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია საინვესტიციო აქტივები. ამ ანგარიშზე ინახება და აღრიცხება ანგარიშის მფლობელის საკუთარი ან ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული საინვესტიციო აქტივები.

- 2.21 რეგისტრირებული მესაკუთრე - პირი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:
- ა) არის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;
 - ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;
 - გ) იღებს ფულად მოგებას როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;
 - დ) აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;
 - ე) აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მესაკუთრე.
- 2.22 რეგისტრირებული მფლობელი - ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში.
- 2.23 საინვესტიციო აქტივები, აქტივები - ცენტრალურ დეპოზიტარში ცალკეულ ანგარიშზე ან ანგარიშებზე არსებული ფასიანი ქაღალდები.
- 2.24 თავისუფალი საინვესტიციო აქტივები - აქტივები, რომელიც არ წარმოადგენენ ვალდებულებით დატვირთულ აქტივებს.
- 2.25 ვალდებულებით დატვირთული საინვესტიციო აქტივები - აქტივები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეული ვალდებულების საგანს.
- 2.26 მონაწილის საკუთარი ანგარიში - შენახვის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილის საკუთრებაში არსებული აქტივები.
- 2.27 ნომინალური მფლობელობის ანგარიში - ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიში, რომელზეც აღირიცხება და ინახება დეპოზიტარის კლიენტის კლიენტ(ებ)ის საინვესტიციო აქტივები დეპოზიტარის კლიენტის საკუთარი აქტივებისგან განცალკევებულად. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება იყოს სეგრეგირებული, ომნიბუსის ტიპის ან ომნიბუს-სეგრეგირებული.
- 2.28 საკორესპონდენტო ანგარიში - შემნახველი ანგარიში, რომლის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ უცხო ქვეყნის ცენტრალური ან საერთაშორისო დონის დეპოზიტარი. ამ ანგარიშზე კრებსითად (ერთობლივად) აღირიცხება მხოლოდ აღნიშნული დეპოზიტარების კლიენტების ფასიანი ქაღალდები.

საკორესპონდენტო ანგარიშების ურთიერთ გახსნა ხორციელდება ცენტრალურ დეპოზიტარსა და უცხოურ დეპოზიტარს შორის. საკორესპონდენტო ანგარიში - ომნიბუს ტიპის ანგარიშია.

- 2.29 საპენსიო სქემის ანგარიში - შემნახველი ანგარიში, რომელზეც აღირიცხება საპენსიო სქემის აქტივები და რომლის მფლობელი და/ან განმკარგველი შეიძლება იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებელი ან აქტივების მმართველი კომპანია.
- 2.30 ომნიბუს ანგარიში - ნომინალური მფლობელობის ანგარიში, რომელიც გამოიყენება ამ ნომინალური მფლობელის კლიენტთა (ინვესტორთა) ფასიანი ქაღალდების კრებსითად აღრიცხვისათვის.
- 2.31 ომნიბუს - სეგრეგირებული ანგარიში – ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის ისეთი კლიენტისთვის გახსნილი ანგარიში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ნომინალურ მფლობელს და რომელზეც აღირიცხება ამ ნომინალური მფლობელის კლიენტების აქტივები კრებსითად.
- 2.32 სეგრეგირებული ანგარიში – ანგარიში გახსნილი მონაწილის კლიენტის სახელზე, რომელზეც განცალკევებულად აღირიცხება ამ კლიენტის საკუთრებაში არსებული აქტივები.
- 2.33 სატრანზიტო ანგარიში - ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიში, რომელზეც, ცენტრალური დეპოზიტარი დროებით რიცხავს მონაწილის ან მისი კლიენტის აქტივებს მათთან დაკავშირებული ოპერაციების დეტალებში ცდომილების ან გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში და აჩერებს ამ აქტივებს დეტალების გარკვევამდე ან/და ოპერაციის დასრულებამდე.
- 2.34 დაშვებული ფასიანი ქაღალდები - ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც დაშვებულია ოპერაციების წარმოება ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში.
- 2.35 საბირჟო ფასიანი ქაღალდები - მოქმედი კანონმდებლობისა და ბირჟის წესების მოთხოვნათა შესაბამისად იმ ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელსაც საკლირინგო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი.
- 2.36 არასაბირჟო ფასიანი ქაღალდები - ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ განეკუთვნებიან საბირჟო ფასიან ქაღალდებს.
- 2.37 გარიგება - ამ წესის მიზნებისთვის, ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილეების ან კლიენტების მიერ დადებული ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების გასხვისების შესახებ. საბირჟო გარიგებათა შემთხვევაში, ტერმინი გარიგება

განიმარტება იმ ბირჟის წესების შესაბამისად, რომელსაც საკლირინგო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევს ცენტრალური დეპოზიტარი, ხოლო არასაბირჟო გარიგებათა შემთხვევაში - კანონმდებლობით და ცენტრალური დეპოზიტარის წესებით.

2.38 გარიგების თარიღი - თარიღი, როდესაც ხდება გარიგების დადება.

2.39 ანგარიშსწორება - ფასიან ქაღალდებზე და/ან ფულად სახსრებზე საკუთრების უფლების გადაცემა მონაწილის ან კლიენტის დავალების, გარიგების პირობების, ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად.

2.40 ანგარიშსწორების თარიღი - თარიღი, როდესაც ხდება ანგარიშსწორება.

2.41 არასაბირჟო გარიგება – ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგება, რომელიც არ განხორციელდა ბირჟის სავაჭრო სესიაზე.

2.42 არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება - ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის სათანადო წესების მოთხოვნათა შესაბამისად საბროკერო კომპანიის მიერ დადებული არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება ბირჟაზე, ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით.

2.43 მოვაჭრე მონაწილე - ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილე.

2.44 ანგარიშსწორების აგენტი - დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით ფულადი ანგარიშსწორებისათვის მონაწილის მიერ შერჩეული საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი.

2.45 საბირჟო გარიგება - ბირჟის სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგება.

2.46 საბროკერო კომპანია - იურიდიული პირი, რომელსაც, კანონის შესაბამისად, აქვს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.

2.47 სავაჭრო ანგარიში - ისეთი შენახვის ანგარიში, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარი ანგარიშის მფლობელს უხსნის საბირჟო გარიგების განხორციელების მიზნით და რომელზეც აღირიცხება ბირჟაზე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საინვესტიციო აქტივები.

2.48 სავაჭრო დავალება - მონაწილის მიერ ცენტრალური დეპოზიტარისთვის ელექტრონული ან ქაღალდის ფორმით გადაცემული დავალება საბირჟო

ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების ოდენობისა და მათი ანგარიშებს შორის განაწილების შესახებ.

- 2.49 კლირინგი - ფასიანი ქაღალდების გარიგებების შედეგად ანგარიშსწორებაში მონაწილე მხარეების ვალდებულებებისა და მოთხოვნების ურთიერთჩათვლა, აგრეთვე ასეთი გარიგებების შესრულების გარანტიების სისტემის შექმნა და კონტროლის განხორციელება.
- 2.50 კორპორაციული ქმედებები - ემიტენტის მიერ ან მისი სახელით განხორციელებული ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ისეთი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ ვრცელდება ამ ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელზე.
- 2.51 განკარგულება - ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება, ბრძანება, დადგენილება, ინსტრუქცია.
- 2.52 ინსტრუქციები საოპერაციო პროცედურების შესახებ - ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციები, რომლებიც დეტალურად ასახავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ სხვადასხვა მომსახურების გაწევა ანგარიშის მფლობელებისათვის.
- 2.53 ცენტრალური დეპოზიტარის სამუშაო დღეები - ყოველი დღე შაბათის, კვირის და ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

თავი II. ზოგადი დებულებები

მუხლი 3. წესების მოქმედების სფერო

- 3.1 წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში „წესი“/„წესები“) შემუშავებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის წესდების შესაბამისად.
- 3.2 ამ წესის პირობების შესრულება სავალდებულოა დეპოზიტარის ყველა კლიენტისათვის და ვრცელდება მხოლოდ ისეთი ფასიანი ქაღალდებით განხორციელებულ ოპერაციებზე, რომელთა ვაჭრობა და ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში.
- 3.3 ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებია: ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა, ფასიან ქაღალდებზე გარიგებებთან დაკავშირებული

ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, მარეგულირებელი ორგანოს წესებით განსაზღვრული და მის წესებში ასახული სხვა მომსახურებები.

- 3.4 წინამდებარე წესები განსაზღვრავს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებს და მათი შესრულების ზოგად პროცედურებს, აგრეთვე ამ მომსახურებასთან დაკავშირებულ ცენტრალური დეპოზიტარისა და მისი კლიენტების უფლება-მოვალეობებს. ცენტრალური დეპოზიტარისა და კლიენტების სხვა უფლება-მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებით, განკარგულებებით და ხელშეკრულებებით.
- 3.5 ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტები ვალდებული არიან შეასრულონ წინამდებარე წესის ყველა მოთხოვნა. დეპოზიტარს ნებისმიერ დროს უფლება აქვს კლიენტებისგან გამოითხოვოს წინამდებარე წესების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ან კლიენტთან ადგილზე შეამოწმოს მათი შესრულება. კლიენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა შესაძლებელია გახდეს სანქციის დაკისრების საფუძველი.

მუხლი 4. ცენტრალური დეპოზიტარის უფლებები

- 4.1 ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია დეპოზიტარის კლიენტის, მონაწილის, მონაწილის კლიენტის, ან/და მათი ანგარიშების მიმართ განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, შემდეგ შემთხვევებში:
- დეპოზიტარის კლიენტის ან მონაწილის დავალებით;
 - დეპოზიტარის მიერ სანქციის გატარების შემთხვევაში;
 - დეპოზიტარის დისკრეციით ინვესტორთა და დეპოზიტარის კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით;
 - მარეგულირებლის მოთხოვნით;
 - სასამართლო გადაწყვეტილებით;
 - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
- 4.2 მონაწილეს ეკრძალება დეპოზიტარის მიერ ამ მუხლის 4.1. პუნქტის თანახმად დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვის მოსახსნელად განახორციელოს რაიმე ქმედება, დეპოზიტარის თანხმობის გარეშე, გარდა მონაწილის დავალებით განხორციელებული შეზღუდვებისა.
- 4.3 ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია განსაზღვროს იმ ანგარიშსწორების აგენტთა სია, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ანგარიშსწორების აგენტები სხვა მონაწილეებისათვის.

მუხლი 5. სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო

5.1 სისტემით სარგებლობისას მონაწილეებმა უნდა იხელმძღვანელონ სისტემის მოხმარების სახელმძღვანელოთი, რომლის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს დეპოზიტარი. ამასთან, მონაწილეს ეკრძალება ამ სახელმძღვანელოს ნებისმიერი სხვა მიზნით გამოყენება.

მუხლი 6. უცხოური დეპოზიტარები

- 6.1 ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულებები უცხოურ დეპოზიტართან, მათ შორის, უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტართან (შემდგომში “უცხოური დეპოზიტარი”).
- 6.2 უცხოურ დეპოზიტარს შეუძლია აწარმოოს ანგარიშები და შეინახოს ფასიანი ქაღალდები ცენტრალურ დეპოზიტარში. ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულებები უცხოურ დეპოზიტარებთან. უცხოურ დეპოზიტარებს შეუძლიათ შეინახონ მათი კლიენტებისათვის შეძენილი საქართველოს ფასიანი ქაღალდები მის (საკორესპონდენტო), ან კლიენტების სახელზე გახსნილ ანგარიშებზე საქართველოს კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
- 6.3 ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია აწარმოოს ანგარიშები და შეინახოს ფასიანი ქაღალდები უცხოურ დეპოზიტარებში. უცხოურ დეპოზიტარებს შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულებები ცენტრალურ დეპოზიტართან. ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია შეინახოს მისი კლიენტების მფლობელობაში არსებული უცხოური ფასიანი ქაღალდები მის საკორესპონდენტო ანგარიშებზე უცხოურ დეპოზიტარებში უშუალოდ ან მათი კლიენტი/წარმომადგენელი რეზიდენტი ან არარეზიდენტი კასტოდიანების/კომერციული ბანკების მეშვეობით.
- 6.4 უცხოურ დეპოზიტარებთან/ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტ არარეზიდენტ იურიდიულ პირებთან ურთიერთთანამშრომლობის პროცედურები განსაზღვრულია მათთან დადებული ხელშეკრულებით, წინამდებარე წესით, ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებით და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში“ საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნის წესით.

მუხლი 7. ურთიერთობები გარე პირებთან

- 7.1 ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ცალკე ხელშეკრულებები გააფორმოს ბანკებთან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებთან, ბირჟებთან, კასტოდიანებთან და სხვა პირებთან, რომლებთანაც ურთიერთობები აუცილებელია ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 8. დავთრები და ჩანაწერები

8.1 ცენტრალურმა დეპოზიტარმა არსებული წესების და საჭიროების მიხედვით უნდა აწარმოოს დავთრები, ჟურნალები და ანგარიშები წევრებისა და ანგარიშის მფლობელთათვის. ცენტრალური დეპოზიტარის დავთრებისა და ჩანაწერების წარმოება უნდა ხორციელდებოდეს ამ წესების საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციების შესაბამისად და შეძლებისდაგვარად ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის გამოყენებით.

მუხლი 9. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

9.1 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი და ის თანამშრომლები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ცენტრალური დეპოზიტარის საადრიცხვო სისტემაზე ვალდებული არიან უზრუნველყონ იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რომელსაც ისინი შეიტყობენ თავიანთი მოვალეობებისა და დავალებების შესრულებისას.

9.2 ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ანგარიშის მფლობელის ვინაობა, მისი საინვესტიციო აქტივები, ანგარიშის მფლობელის გარიგებები, კლიენტების საინვესტიციო აქტივები, ამ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციათა ისტორია, ინფორმაცია და არსებითი ფაქტები ანგარიშის მფლობელთა საქმიანობის შესახებ, მათი ფინანსური მდგომარეობა ან პერსპექტივები უნდა ინახებოდეს კონფიდენციალურად.

9.3 თანამშრომლების და გენერალური დირექტორის ვალდებულება ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე ძალაში რჩება მათი სამსახურეობრივი პოზიციის ან მოვალეობების დამთავრების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

9.4 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს და თანამშრომლებს ეკრძალებათ რჩევის გაცემა ფასიან ქაღალდებში ინვესტირებაზე, ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის მომგებიანობაზე, ასევე რეკომენდაციის გაწევა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილე პირების შესახებ.

9.5 ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლები და გენერალური დირექტორი, ისევე როგორც ცენტრალური დეპოზიტარის ყოფილი თანამშრომლები და გენერალური დირექტორი, არ არიან ვალდებული უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალურობა თუ:

ა) მონაცემები და ინფორმაცია საჯაროდ არის ცნობილი ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი;

ბ) ინფორმაცია სტატისტიკური ხასიათისაა, კუმულატიურია ან ისეთი სახითაა შედგენილი, რომ ანგარიშის მფლობელის ან მონაწილის ვინაობა არ არის მითითებული;

9.6 ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომელს, ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით, უფლება აქვს კონფიდენციალური ინფორმაცია გადასცეს მარეგულირებელ ორგანოს, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 10. მომსახურების ტარიფები და სანქციები წესების დარღვევისთვის

10.1 ცენტრალური დეპოზიტარის მიერ შეთავაზებული მომსახურების საფასური გაწერილი უნდა იყოს დეპოზიტარის ტარიფების ცხრილში (დანართი №1), რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კლიენტებისათვის დეპოზიტარის ვებ-გვერდის საშუალებით.

10.2 ამ წესების დარღვევისთვის ცენტრალურ დეპოზიტარს უფლება აქვს დააკისროს კლიენტს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე, მისი სტატუსის შესაბამისი, სანქცია, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე:

ა) გაკიცხვა (საყვედური);

ბ) ფულადი ჯარიმა ან/და საურავი, მაგრამ არაუმეტეს 20,000 ლარისა დარღვევის თითოეულ ფაქტზე

გ) დეპოზიტარის კლიენტის ყველა, ან რომელიმე უფლების შეჩერება, მათ შორის საქმიანობის შეზღუდვა სრულად ან ნაწილობრივ;

დ) მონაწილის ხელახალი სერთიფიცირება;

ე) კომპენსაცია ერთი ან რამდენიმე მხარისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად;

ვ) იძულებითი ღონისძიების განხორციელება (Buy-in, Sell-out);

ზ) დეპოზიტარის წევრის ან მონაწილის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა.

10.3 საოპერაციო პროცედურების შესახებ ინსტრუქციებით შესაძლოა განისაზღვროს კლიენტებზე სანქციების დაკისრებისა და აღსრულების წესები და პროცედურები.

თავი III. მონაწილეები

მუხლი 11. მონაწილეთა სახეობები

11.1 ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილე შეიძლება იყოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი შემდეგი იურიდიული პირი:

- გარე დეპოზიტარი;
- სპეციალიზებული დეპოზიტარი;
- კომერციული ბანკი;
- კასტოდირი ბანკი;
- სადაზღვევო კომპანია;

- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი;
- საინვესტიციო ბანკი;
- საბროკერო კომპანია;
- აქტივების მმართველი კომპანია;
- საინვესტიციო ფონდი (კოლექტიური საინვესტიციო სქემა ან საინვესტიციო კომპანია);
- საპენსიო სქემა;
- სხვა ფინანსური ინსტიტუტი;
- ემიტენტი, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია ცენტრალურ დეპოზიტარში.

მუხლი 12. მოთხოვნები კანდიდატის სისტემაში მონაწილედ დაშვებისთვის

- 12.1 მონაწილედ დაშვების კანდიდატი (შემდეგში „კანდიდატი“) ხელმოწერით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება დეპოზიტარის ყველა წესსა და მოთხოვნას და დაიცავს მათ;
- 12.2 კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს სისტემის მონაწილედ დაშვების შესახებ (დანართი #3) თანდართული დოკუმენტებით;
- 12.3 კანდიდატი წარმოადგენს თანამშრომელთა სიას (არანაკლებ ორი თანამშრომლისა), რომლებიც იქნებიან სისტემის მომხმარებლები, დეპოზიტარში გაივლიან შესაბამის სერტიფიცირებას და მიიღებენ თოქენს.

მუხლი 13. კანდიდატის მონაწილედ დაშვება

- 13.1 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად ცენტრალური დეპოზიტარი იღებს გადაწყვეტილებას ამ კანდიდატის მონაწილედ დაშვებაზე ან დაშვებაზე უარის თქმის შესახებ 15 სამუშაო დღის ვადაში, რის შესახებაც კანდიდატს აცნობებს წერილობით.
- 13.2 ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებული არ არის დაასაბუთოს კანდიდატისათვის მონაწილედ დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

მუხლი 14. მონაწილის პასუხისმგებლობა

- 14.1 მონაწილე პასუხისმგებელია სისტემაში მომხმარებლის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე და ამ ქმედებიდან გამომდინარე ნებისმიერ შედეგზე.
- 14.2 თოქენის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ მის მომხმარებელს.
- 14.3 მონაწილის მიერ ახალი მომხმარებლის დამატების განზრახვის შემთხვევაში ახალი მომხმარებელი ვალდებულია გაიაროს ამ წესით დადგენილი სერტიფიცირება და მიიღოს ახალი თოქენი.

14.4 მონაწილე ვალდებულია წინასწარ აცნობოს დეპოზიტარს არსებული მომხმარებლის შეცვლის განზრახვის, გაუქმების, ან მისი თოქენის დაკარგვის/დაზიანების შესახებ, რა შემთხვევაშიც მონაწილე ვალდებულია დაუბრუნოს დეპოზიტარს ამ მომხმარებლის თოქენი.

მუხლი 15. მონაწილის მიმართ შესაძლო ქმედებები

15.1 დეპოზიტარი უფლებამოსილია მონაწილის მიმართ სისტემაში განახორციელოს შემდეგი ქმედებები: შეზღუდვა (Restrict), ბლოკირება (Block), შეჩერება (Suspend), დეაქტივაცია (Disable), აქტივაცია (Activate), სისტემიდან ამოღება (Remove).

15.2 დეპოზიტარის მიერ მონაწილის დეაქტივაციის (Disable) შემთხვევაში, დეპოზიტარს უფლება აქვს მონაწილეს მოსთხოვოს მითითებულ ვადაში მონაწილის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული აქტივების გადატანა სხვა მონაწილის ანგარიშზე, ან მისივე მფლობელობის ანგარიშ(ებ)ზე რეგისტრატორში. დეპოზიტარის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დეპოზიტარი საკუთარი დისკრეციით თავად გადაიტანს აღნიშნულ აქტივებს მონაწილის მფლობელობის ანგარიშ(ებ)ზე რეგისტრატორში, ან დეპოზიტარში არსებულ შესაბამის სპეციალურ ანგარიშზე.

მუხლი 16. მონაწილის კლიენტის რეგისტრაცია

16.1 მონაწილე სისტემაში არეგისტრირებს მონაწილის კლიენტს და მას უხსნის შესაბამის ანგარიშ(ებ)ს.

16.2 სისტემაში მონაწილეს უფლება აქვს კლიენტი დაარეგისტროს სავალდებულო მაინდეთიფიცირებელი მონაცემების მითითებით, ან მათ გარეშე (ანონიმურად), თუმცა სავალდებულოა ფიზიკური ან იურიდიული პირის და რეზიდენტობის სტატუსის სწორად მითითება.

16.3 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა სისტემაში მონაწილის კლიენტის სავალდებულო მაინდეთიფიცირებელი მონაცემების ასახვის თაობაზე:

16.3.1 იურიდიული პირის შემთხვევაში:

- უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (UID);
- დასახელება;
- რეგისტრაციის თარიღი;
- ინვესტორის ტიპი;
- ეკონომიკური სექტორი;
- რეზიდენტობის სტატუსი (რეზიდენტი/არა-რეზიდენტი);
- საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საგადასახადო სქემა;
- საკონტაქტო ელ-ფოსტა;
- საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

- გადახდის მეთოდი (კორპორაციული ქმედებები).
- 16.3.2 ფიზიკური პირის შემთხვევაში:
- უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (UID);
 - სახელი;
 - გვარი;
 - დაბადების თარიღი;
 - რეზიდენტობის სტატუსი (რეზიდენტი/არა-რეზიდენტი);
 - სქესი;
 - საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი;
 - საგადასახადო სქემა;
 - საკონტაქტო ელ-ფოსტა;
 - საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
 - გადახდის მეთოდი (კორპორაციული ქმედებები).
- 16.4 მონაწილის კლიენტის ანონიმურად დარეგისტრირების შემთხვევაში სისტემის კლიენტის შექმნის ფანჯარაში სავალდებულო ველებში პირველ სიმბოლოდ მიეთითება „X“, რასაც, მონაწილის სურვილისამებრ, შეიძლება მოჰყვეს ნებისმიერი სხვა სიმბოლო(ები). ამასთან, სისტემის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის (UID) ველში “X” სიმბოლოს შემდეგ უნდა მიეთითოს მონაწილის მიერ ამ კლიენტისათვის მინიჭებული უნიკალური მაიდენტიფიცირებელი კოდი (სიმბოლოების ან/და ასოების ან/და ციფრების ნებისმიერი კომბინაცია). დაბადების თარიღისა და ტელეფონის ნომრის ველში უნდა მიეთითოს სისტემაში რეგისტრაციის თარიღი.
- 16.5 მონაწილე ვალდებულია დეპოზიტარს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მონაწილის ახალი კლიენტის დარეგისტრირების, ან არსებული კლიენტისთვის ახალი ანგარიშის შექმნის თაობაზე. ახალი კლიენტის დარეგისტრირების შემთხვევაში შეტყობინება უნდა შეიცავდეს სისტემაში მონაწილის კლიენტის უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომერს (UID), ხოლო არსებული კლიენტისთვის ახალი ანგარიშის შექმნის შემთხვევაში - ახალ ანგარიშის ნომერს.

მუხლი 17. მონაწილის კლიენტის მიმართ შესაძლო ქმედებები

- 17.1 მონაწილე უფლებამოსილია მისი კლიენტის მიმართ სისტემაში განახორციელოს შემდეგი ქმედებები: დეაქტივაცია (Disable), აქტივაცია (Activate), სისტემიდან ამოღება / (Remove).
- 17.2 იმისთვის, რომ მონაწილემ შეძლოს თავისი კლიენტის დეაქტივაცია (Disable) და სისტემიდან ამოღება (Remove), აღნიშნული კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არ უნდა ირიცხებოდეს არანაირი აქტივი.
- 17.3 მონაწილის მიერ კლიენტის სისტემიდან ამოღების (Remove) შემთხვევაში, აღნიშნული კლიენტის იგივე უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრით (UID) იმავე მონაწილის მიერ დარეგისტრირება დაუშვებელია.

თავი IV. დაშვებული ფასიანი ქაღალდები

მუხლი 18. ფასიანი ქაღალდების დაშვება

- 18.1 სისტემაში ფასიანი ქაღალდ(ებ)ის დაშვება ხორციელდება გენერალური დირექტორის განკარგულებით (ბრძანებით). ცენტრალური დეპოზიტარი მონაწილეებს აცნობებს დაშვებული ფასიანი ქაღალდების შესახებ, აგრეთვე აახლებს შესაბამის ინფორმაციას სისტემაში რომელიმე ფასიანი ქაღალდის დამატების, შეჩერების ან ამოღებისთანავე.
- 18.2 ფასიანი ქაღალდის დაშვება ხორციელდება ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილის, უცხო ქვეყნის დეპოზიტარის, კასტოდიანის ან იმ ბირჟის რეკომენდაციით, რომელთანაც ცენტრალურ დეპოზიტარს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამ შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წინამდებარე წესის დანართი №2-ით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტები. . ფასიანი ქაღალდ(ებ)ის დაშვება განხორციელდება მხოლოდ დანართი №1-ით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.
- 18.3 დეპოზიტარში შესაძლოა დაშვებულ იქნას მხოლოდ ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომლის რეესტრს აწარმოებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ან რომელიც რეგისტრირებულ მფლობელობაში აქვს უცხოურ დეპოზიტარს ან საერთაშორისო დეპოზიტარს ან მათ კლიენტ/წარმომადგენელ რეზიდენტ ან არარეზიდენტ კასტოდიანს/კომერციულ ბანკს (უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში), რომელსაც ცენტრალურ დეპოზიტართან გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება, ან ამ უცხოურ დეპოზიტარს ან საერთაშორისო დეპოზიტარს ან მათ კლიენტ რეზიდენტ/არარეზიდენტ კასტოდიანს/კომერციულ ბანკს გახსნილი აქვს ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის შემნახველი ანგარიში ცენტრალურ დეპოზიტარში.
- 18.4 ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ განაცხადს უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და მას უნდა თან დაერთოს ფასიანი ქაღალდის დასაშვებად აუცილებელი დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია წინამდებარე წესის დანართი №2-ით. ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ განაცხადის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალური დეპოზიტარი განიხილავს წარდგენილ დოკუმენტებს და თუ ისინი აკმაყოფილებენ წინამდებარე წესის მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ. წარდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი წერილობით აცნობებს განმცხადებელს და დაუთქვამს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რის შემდეგაც დოკუმენტების განხილვის ვადა აითვლება თავიდან.
- 18.5 ამ მუხლის 18.2-18.4 პუნქტებში, აგრეთვე დანართ №2-ში მოყვანილი მოთხოვნები არ არის სავალდებულო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (მუნიციპალიტეტის), საქართველოს ეროვნული ბანკისა

და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, აგრეთვე უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში დასაშვებად. ამ შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილის, შესაბამისი ბირჟის, კასტოდიანის ან დეპოზიტარის მიერ წარმოსადგენი ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ განაცხადის ფორმა და შინაარსი დგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გარდა ამისა, განაცხადი ასეთი ფასიანი ქაღალდის ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში დაშვებაზე შეიძლება შემოიტანოს თვით ემიტენტმა.

მუხლი 19. დაშვებულ ფასიან ქაღალდზე ოპერაციების შეჩერება და განახლება

- 19.1 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, ცენტრალური დეპოზიტარისა და მისი მონაწილეების საუკეთესო ინტერესების დასაცავად, დროებით შეაჩეროს ოპერაციები დაშვებულ ფასიან ქაღალდზე, მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი მითითებით ან თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ფასიანი ქაღალდი არ შეესაბამება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობას ან/და არსებობს ფასიანი ქაღალდის გადაფორმების პრობლემა ცენტრალური დეპოზიტარისა ან/და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით, ან თუ ამ ფასიან ქაღალდზე ბოლო 12 თვის განმავლობაში არ განხორციელდა არცერთი ოპერაცია, ან თუ ასეთი ფასიანი ქაღალდის ემიტენტმა გამოაცხადა კორპორაციული ქმედების შესახებ, რომელიც აუცილებელს ხდის აღნიშნული ფასიანი ქაღალდით ოპერაციების დროებით შეჩერებას.
- 19.2 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს სავაჭრო ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდის გადარიცხვა შესაბამის ბირჟაზე აღნიშნული ფასიანი ქაღალდით ვაჭრობის დროებით შეჩერების შემთხვევაში, ამ ბირჟის შეტყობინების (ან მოთხოვნის) საფუძველზე.
- 19.3 თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაშვებულ ფასიან ქაღალდზე ოპერაციების შეჩერების შესახებ, გენერალურმა დირექტორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს მონაწილეებს, ბირჟას (თუ ეს ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე) და შესაბამის რეგისტრატორს.
- 19.4 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია განაახლოს შეჩერებული ოპერაციები დაშვებულ ფასიან ქაღალდზე, თუ აღარ არსებობს ან აღმოფხვრილია ოპერაციების შეჩერების მიზეზები. ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს 19.3 პუნქტში მითითებულ პირებს.

მუხლი 20. დაშვებული ფასიანი ქაღალდის ამოღება სისტემიდან

- 20.1 ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაშვებული ფასიანი ქაღალდის სისტემიდან ამოღების შესახებ მარეგულირებელი ორგანოს მითითებით, ან თუ ეს ფასიანი ქაღალდი არ შეესაბამება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობას ან არსებობს

ფასიანი ქალაქის გადაფორმების პრობლემა ცენტრალური დეპოზიტარისა და/ან ფასიანი ქალაქის რეგისტრატორის მეშვეობით, ან თუ ფასიანი ქალაქი არა ნაკლებ ნახევარი წლის განმავლობაში შეჩერებული იყო ამ წესების მე-19 მუხლის შესაბამისად. დასაშვებია აგრეთვე ფასიანი ქალაქის ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქალაქი არ ირიცხება ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტების ანგარიშებზე და იგი ამოღებულ იქნა ბირჟის სავაჭრო სისტემიდან.

- 20.2 ცენტრალური დეპოზიტარის მიერ სისტემიდან ფასიანი ქალაქის ამოღების შემთხვევაში, დეპოზიტარი აღნიშნულ ფასიან ქალაქს გადაიტანს მათი რეგისტრირებული მფლობელების ანგარიშებზე რეგისტრატორში, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - დეპოზიტარში არსებულ შესაბამის სპეციალურ ანგარიშზე.
- 20.3 თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფასიანი ქალაქის სისტემიდან ამოღების შესახებ, მაშინ ცენტრალურმა დეპოზიტარმა ყველა მონაწილეს, ბირჟას (თუ ეს ფასიანი ქალაქი დაშვებულია ბირჟაზე), შესაბამის რეგისტრატორს და სხვა დაინტერესებულ პირებს უნდა აცნობოს ამის თაობაზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

თავი V. ფასიანი ქალაქების ანგარიშები

მუხლი 21. ზოგადი დებულებები

- 21.1 ანგარიში არის ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წარმოებული ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ასახავს ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებულ საინვესტიციო აქტივებს ცენტრალურ დეპოზიტარში. ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქალაქების რაოდენობა და მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლებები განისაზღვრება ანგარიშებზე ასახული საინვესტიციო აქტივების საფუძველზე.
- 21.2 ფასიანი ქალაქების მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები შექმნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც საინვესტიციო აქტივები აღირიცხება ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშის მფლობელის ანგარიშზე. მესაკუთრის ცვლილება ხდება საინვესტიციო აქტივების გადატანისას წინა მფლობელის ანგარიშიდან ახალი მფლობელის ანგარიშზე.
- 21.3 ცენტრალურ დეპოზიტარში ნებისმიერ კლიენტს შეიძლება გაეხსნას შემნახველი ანგარიშ(ებ)ი მათი სტატუსის (ტიპის) შესაბამისად. .
- 21.4 რეგისტრირებული მფლობელის ტიპის მიხედვით, ცენტრალურ დეპოზიტარში შესაძლებელია გაიხსნას შემდეგი კატეგორიის შემნახველი ანგარიშები:
 - 21.4.1 ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის საკუთარი ანგარიში, რომელზეც ინახება კლიენტის საკუთარი აქტივები;
 - 21.4.2 ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტის ომნიბუს ანგარიში, რომელიც გამოიყენება მისი კლიენტების (ინვესტორების) ფასიანი ქალაქების

კრებსითად აღრიცხვისათვის. მონაწილის ომნიბუს ანგარიშზე არ შეიძლება აღირიცხოს ამ მონაწილის ისეთი კლიენტების აქტივები, რომლებსაც ამავე მონაწილემ გაუხსნა ომნიბუს-სეგრეგირებული ან სეგრეგირებული ანგარიში;

21.4.3 მონაწილის ომნიბუს-სეგრეგირებული (სახელობითი) ანგარიში - მონაწილის ნომინალური მფლობელი კლიენტის სახელზე გახსნილი ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ამ ნომინალური მფლობელის კლიენტების აქტივები კრებსითად;

21.4.4 მონაწილის კლიენტის სეგრეგირებული ანგარიში - ანგარიში გახსნილი მონაწილის კლიენტის სახელზე, რომელზეც განცალკევებულად აღირიცხება ამ კლიენტის საკუთრებაში არსებული აქტივები.

21.4.5 ყოველ მონაწილესთან ინვესტორის აქტივები უნდა აღირიცხებოდეს ამ მონაწილის კუთვნილ 21.4.2-21.4.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთი კატეგორიის ანგარიშზე, მონაწილის საკუთარი აქტივებისგან განცალკევებულად.

21.5 დეპოზიტარის კლიენტებს, რომლებსაც კანონმდებლობით გააჩნიათ უფლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელები, შეუძლიათ გახსნან საკლიენტო ანგარიშები, რომელთა რეგისტრირებული მესაკუთრის ვინაობა მისთვის ცნობილია და კლიენტის დავალების შესაბამისად, შეიძლება იყოს, ან არ იყოს გამჟღავნებული ცენტრალური დეპოზიტარისათვის ამ წესის შესაბამისად

21.6 მონაწილის კლიენტის ანგარიშის გასახსნელად აუცილებელია, რომ მონაწილეს ჰქონდეს უფლება შექმნას კლიენტების ანგარიშები და ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ხელშეკრულება მონაწილესა და რეგისტრირებულ მესაკუთრეს შორის, რომლითაც მონაწილეს ენიჭება უფლება გახდეს რეგისტრირებული მესაკუთრის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი.

21.7 მონაწილის საკლიენტო ანგარიშის გახსნისას, მონაწილე ცენტრალურ დეპოზიტარს უდასტურებს, რომ მას იმ რეგისტრირებულ მფლობელთან, ვისთვისაც ხსნის ანგარიშს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლითაც ის უფლებამოსილია ფლობდეს კლიენტის აქტივებს ნომინალურ მფლობელობაში. მონაწილე, რომელიც ხსნის თავისი კლიენტის ანგარიშს, მოვალეა საკუთარ ჩანაწერებში მოახდინოს ამ ანგარიშზე არსებული საინვესტიციო აქტივების რეგისტრირებული მფლობელის იდენტიფიცირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

21.8 მონაწილე ვალდებულია დეპოზიტარს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მონაწილის სისტემაში ახალი კლიენტის დარეგისტრირების, ან არსებული კლიენტისთვის ახალი ანგარიშის შექმნის თაობაზე. ახალი კლიენტის დარეგისტრირების შემთხვევაში შეტყობინება უნდა შეიცავდეს სისტემაში მონაწილის კლიენტის უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომერს (UID), ხოლო არსებული კლიენტისთვის ახალი ანგარიშის შექმნის შემთხვევაში - ახალ ანგარიშის ნომერს.

თავი VI. შენახვის ანგარიშები

მუხლი 22. შენახვის ანგარიშის გახსნა

- 22.1 ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტსა და ცენტრალურ დეპოზიტარს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება მომსახურების შესახებ. ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი - ანგარიშის მფლობელი, ცენტრალურ დეპოზიტართან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით იძენს უფლებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ცენტრალური დეპოზიტარის, როგორც ნომინალური მფლობელის, სახელზე დაარეგისტროს ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებული აქტივები და მიანიჭოს ცენტრალურ დეპოზიტარს უფლება განახორციელოს სხვა ოპერაციები ამ აქტივებზე ანგარიშის მფლობელის სახელით.
- 22.2 საპენსიო სქემის საინვესტიციო პორტფელში შემავალი აქტივების შესანახად ანგარიში იხსნება საპენსიო სქემის, ან აქტივების მმართველი კომპანიის სახელზე მათთან დადებული ხელშეკრულების, მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესების შესაბამისად.

მუხლი 23. შენახვის ანგარიშის დაბლოკვა (Block), აქტივაცია (Activate)

- 23.1 ანგარიშის მფლობელი მონაწილე უფლებამოსილია დაავალოს დეპოზიტარს საკუთარი ან თავისი კლიენტის შენახვის ანგარიშ(ებ)ზე განახორციელოს შემდეგი ქმედებები: ბლოკირება (Block) და აქტივაცია (Activate) ანუ ბლოკირების მოხსნა.

მუხლი 24. ფასიანი ქაღალდების დეპონირება და გატანა

- 24.1 დეპოზიტარში დაშვებული ფასიანი ქაღალდების დეპონირებისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულმა მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში მის სახელზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის, როგორც ნომინალური მფლობელის, სახელზე დარეგისტრირება. დეპოზიტარი ანგარიშის მფლობელის შენახვის ანგარიშს ფასიანი ქაღალდებით სისტემაში დააკრედიტებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური დეპოზიტარი მიიღებს რეგისტრატორის შესაბამის შეტყობინებას დეპოზიტარის სახელზე ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის შესახებ.
- 24.2 ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიდან გატანა ნებადართულია ანგარიშის მფლობელის დავალების საფუძველზე. ეს დავალება უნდა შეიცავდეს მითითებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ანგარიშის მფლობელის სახელზე ფასიანი ქაღალდების დარეგისტრირების შესახებ. ცენტრალური დეპოზიტარი

შესაბამის დავალებას გადასცემს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რის შემდეგაც დეპოზიტარიდან აქტივების გატანა ჩაითვლება დასრულებულად.

მუხლი 25. სისტემაში მონაწილის მიერ ფასიანი ქაღალდებზე განხორციელებული ოპერაციები

- 25.1 მონაწილე ვალდებულია ფასიან ქაღალდებზე სისტემის მეშვეობით ოპერაციები განხორციელოს სამუშაო დღეებში 09:30 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 15:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე.
- 25.2 მონაწილე ელ-ფოსტის მეშვეობით დეპოზიტარს ატყობინებს სისტემაში მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის 13 სიმბოლოიან კოდს (transaction reference) აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისთანავე.
- 25.3 ფასიანი ქაღალდების გადარიცხვა სისტემაში შესაძლოა განხორციელდეს სამი ძირითადი მეთოდით : ა) „მიწოდება ფულის გადახდის სანაცვლოდ“ (DvP – Delivery versus Payment); ბ) „მიწოდება ფულის გადახდის გარეშე“ - DvP without cash leg), რომელიც გამოიყენება ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის ცვლილებისას; გ) ფასიანი ქაღალდების სხვა ანგარიშზე გადატანა ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის ცვლილების გარეშე (Portfolio Transfer) - FoP- (Free of Payment).
- 25.4 მონაწილეს ან დეპოზიტარს შეუძლია სისტემაში განხორციელოს მონაწილის საკუთარ ან კლიენტ(ებ)ის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ფასიანი ქაღალდების დაგირავება (pledge). დაგირავებული ფასიანი ქაღალდი ირიცხება დამგირავებლის ანგარიშზე, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი (available) მანამ, სანამ არ დადგება გირავნობის მოხსნის საფუძველი. ამასთან, გირავნობის ვადის ამოწურვის მომენტში გირავნობის მოხსნის საფუძვლის არ არსებობისას დაგირავებულ ფასიან ქაღალდს მიენიჭება აკრძალულის (banned) სტატუსი, რის შემდეგაც იგი მონაწილის ანგარიშზე არსებულ ნაშთში აღარ აისახება. ასეთ შემთხვევაში მოგირავნეს შეუძლია დაუბრუნოს აკრძალული სტატუსის მქონე ფასიან ქაღალდი დამგირავებელს, ან მიაქციოს იგი აღსასრულებლად - ფასიანი ქაღალდის პირდაპირი რეალიზაციით (pledge execution through sale), ან დასაკუთრების (pledge execution through appropriation) გზით.
- 25.5 მონაწილეებს თავად შეუძლიათ განხორციელონ სისტემაში ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, რისთვისაც საჭიროა კონტრაგენტი მონაწილეების მიერ სისტემაში შემხვედრი ინსტრუქციების (matching instruction) შეყვანა.
- 25.6 ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები არ შესრულდება, თუ კონტრაგენტი მონაწილეების მიერ სისტემაში შეყვანილი შემხვედრი ინსტრუქციების ძირითადი დეტალები არ იქნება თანხვედრაში.

მუხლი 26. ცვლილებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული გარიგებებთან

26.1 ანგარიშის მფლობელის პირად ინფორმაციაში მომხდარი ცვლილებების სისტემაში ასახვა უნდა მოხდეს თავად მონაწილის, ან მონაწილის დავალებით - დეპოზიტარის მიერ, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოს, თვითრეგულირებადი ორგანიზაციის, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.

თავი VII. ფულადი სახსრების ანგარიშები და სავაჭრო ლიმიტები

მუხლი 27. ფულადი სახსრების ანგარიშები

27.1 მონაწილე ვალდებულია შეარჩოს მომსახურე რეზიდენტი კომერციული ბანკი (შემდგომში - „ანგარიშსწორების აგენტი“), სისტემაში ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ფულადი ანგარიშსწორების განსახორციელებლად. მონაწილეს შეუძლია შეარჩოს სხვადასხვა, ან ერთი და იგივე, ანგარიშსწორების აგენტი საკუთარ და კლიენტ(ებ)ის ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ფულადი ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

27.2 გარიგებების ანგარიშსწორებისთვის და კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების აღსარიცხად მონაწილე ანგარიშსწორების აგენტთან ხსნის როგორც საკუთარი ფულადი სახსრების, ასევე საკლიენტო (კრებსით) ნომინალური მფლობელობის ანგარიშებს. ანგარიშსწორების აგენტის სახელწოდებას და მასთან გახსნილ ანგარიშების ნომრებს მონაწილე დეპოზიტარს აცნობებს სისტემაში რეგისტრაციისას დანართი #4-ით (სისტემაში მონაწილედ დაშვების შესახებ) დადგენილი განაცხადის მეშვეობით.

27.3 მონაწილე ანგარიშსწორების აგენტის შესაცვლელად წერილობით მიმართავს დეპოზიტარს. მონაწილე ვალდებულია ახალი ანგარიშსწორების აგენტი აარჩოს დეპოზიტარის მიერ განსაზღვრული ანგარიშსწორების აგენტთა სიიდან, რომელთაც დეპოზიტარის მიერ მინიჭებული აქვთ სხვა მონაწილეების ანგარიშსწორების აგენტის უფლებამოსილება. ამასთან, დეპოზიტარი უფლებამოსილია მოსთხოვოს მონაწილეს ანგარიშსწორების აგენტის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის არსებული ანგარიშსწორების აგენტი დეპოზიტარის მიერ ამოღებულია ზემოთაღნიშნული სიიდან.

27.4 მონაწილეს, რომელიც უფლებამოსილია გახსნას საკლიენტო ანგარიშ(ებ)ი, კორპორაციული ქმედებების შედეგად სახსრების მისაღებად კლიენტის მოთხოვნით შეუძლია თითოეული ასეთი კლიენტისთვის სისტემაში შეიყვანოს კლიენტის საკუთარი ფულადი სახსრების ანგარიშ(ებ)ი კლიენტის მიერ მითითებულ კომერციულ ბანკ(ებ)ში.

27.5 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი მონაწილესა და მის კლიენტებს შორის ანგარიშსწორების, დროულობასა და სისრულეზე.

27.6 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი სისტემის მიერ დაგენერირებული დავალების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე ანგარიშსწორების აგენტის ან მონაწილის მიზეზით.

მუხლი 28. სავაჭრო ლიმიტი (trading ceiling)

28.1 ანგარიშსწორების აგენტის მიერ მონაწილის საკუთარი და საკლიენტო ანგარიშებისთვის სისტემაში განისაზღვრება სავაჭრო ლიმიტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება აღნიშნულ ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების ფულადი ანგარიშსწორება.

28.2 მონაწილე ვალდებულია მოელაპარაკოს თავის მომსახურე ანგარიშსწორების აგენტს მონაწილის ანგარიშებზე შესაბამისი მიმდინარე სავაჭრო ლიმიტ(ებ)ის (trading ceiling) განსაზღვრაზე. მიმდინარე დღის განმავლობაში შესაძლებელია ამ ლიმიტის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით, ან ცალმხრივად ანგარიშსწორების აგენტის მიერ. ანგარიშზე მიმდინარე სავაჭრო ლიმიტი ასევე შეიძლება შეიცვალოს ავტომატურად, დღის განმავლობაში განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად.

28.3 სისტემაში მონაწილის სავაჭრო ლიმიტი ყოველი სამუშაო დღის დასაწყისისთვის ნულდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე და მისი მომსახურე ანგარიშსწორების აგენტი მოილაპარაკებენ ყოველდღიური ფიქსირებული სასტარტო სავაჭრო ლიმიტის დადგენაზე.

28.4 მონაწილემ უნდა უზრუნველყოს ანგარიშსწორების აგენტის მიერ სავაჭრო ლიმიტის სისტემაში შეყვანა საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესიის დაწყებამდე არანაკლებ ერთი საათით ადრე.

მუხლი 29. ფულადი ანგარიშსწორების განხორციელება

29.1 იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის მიერ დადებული გარიგების ან განსახორციელებელი ფულადი საანგარიშსწორებო ოპერაციისათვის საჭირო თანხა აღემატება მისი ანგარიშსწორების აგენტის მიერ ამ მონაწილის შესაბამის ანგარიშზე სისტემაში გაწერილ სავაჭრო ლიმიტს, ანგარიშსწორება არ შესრულდება.

29.2 მონაწილის მომსახურე ანგარიშსწორების აგენტი გარიგების ანგარიშსწორებისთვის მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩამოწერს თანხას, თავის მხრივ ჩამოწერს მონაწილის შესაბამისი (საკუთარი, ან კლიენტების ფულადი სახსრების) ანგარიშიდან.

29.3 მონაწილის მომსახურე ანგარიშსწორების აგენტი გარიგების ანგარიშსწორებისას მის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, თავის მხრივ ჩარიცხავს მონაწილის შესაბამის (საკუთარ, ან კლიენტების ფულადი სახსრების) ანგარიშზე.

- 29.4 საბირჟო გარიგების დასადებად მონაწილე ვალდებულია დეპოზიტარს მიაწოდოს ფულის სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხვის დავალება (ფორმა C30) საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესიის დაწყებამდე არანაკლებ ერთი საათით ადრე.
- 29.5 ანგარიშსწორების აგენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში საკუთარ საკორესპონდენტო ანგარიშ(ებ)ზე უზრუნველყოს საკმარისი თანხების არსებობა, არანაკლებ მის მიერ სისტემაში შესაბამის ანგარიშებზე განსაზღვრული სავაჭრო ლიმიტ(ებ)ისა, იმ მონაწილეების მიერ განხორციელებული ოპერაციების ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც ემსახურება აღნიშნული ანგარიშსწორების აგენტი.

თავი VIII. გარიგებასთან დაკავშირებული წინასავაჭრო და ვაჭრობის შემდგომი პროცედურები

მუხლი 30. წინასავაჭრო პროცედურები

- 30.1 ცენტრალური დეპოზიტარის საანგარიშსწორებო მომსახურება ემყარება ფასიანი ქაღალდის გამყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ შესაბამისი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებობის პრინციპს, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების მყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ თავის ანგარიშსწორების აგენტთან სავაჭრო ლიმიტ(ებ)ის განსაზღვრის პრინციპს. ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები და სავაჭრო ლიმიტ(ებ)ი უნდა აღირიცხოს სისტემაში საბირჟო გარიგების დადებამდე არა უგვიანეს ერთი საათისა.
- 30.2 ამ მუხლის 30.1 პუნქტში აღნიშნული ფულადი სახსრები უნდა შეესაბამებოდეს დეპოზიტარისთვის საბირჟო სავაჭრო სესიის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მიცემულ ფულის სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხვის დავალებას (ფორმა C30).

მუხლი 31. ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების გამოყენება საბირჟო გარიგების ანგარიშსწორებისათვის

- 31.1 დეპოზიტარი ფულის სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხვის დავალების (ფორმა C30) და დეპოზიტარში ანგარიშებზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ნაშთების საფუძველზე ბირჟას აწვდის ინფორმაციას სავაჭროდ განკუთვნილი საინვესტიციო აქტივების შესახებ და უზრუნველყოფს ბირჟაზე დადებული გარიგებების კლირინგსა და ანგარიშსწორებას.
- 31.2 ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე მონაწილეს შეუძლია დადოს იმ ოდენობის ყიდვის გარიგებები ბირჟაზე, რომელთა ჯამური ღირებულება არ აღემატება დეპოზიტარისთვის ფულის სავაჭრო ანგარიშზე გადარიცხვის დავალებით (ფორმა C30) მითითებულ თანხას, ხოლო გაყიდული ფასიანი ქაღალდების ჯამური რაოდენობა არ აღემატება ამ მონაწილის ანგარიშებზე რიცხული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას.

31.3 მონაწილის კლიენტებისთვის ანგარიშსწორების შემდეგ თანხების სისტემის გარეთ ჩარიცხვაზე პასუხისმგებელია მონაწილე.

მუხლი 32. საბირჟო გარიგების კლირინგი და ანგარიშსწორება

32.1 ბირჟა ცენტრალურ დეპოზიტარს აწვდის ინფორმაციას დადებული საბირჟო გარიგებების შესახებ ვაჭრობის განხორციელების დღეს, იმ ფორმითა და ვადებში, როგორც ეს გათვალისწინებულია ბირჟასთან დადებული ხელშეკრულებით. საბირჟო გარიგების ანგარიშსწორება დეპოზიტარში ხორციელდება გარიგებების დადების დღეს.

32.2 დეპოზიტარი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ წესით გათვალისწინებული სანქციები იმ მხარის მიმართ, რომლის ბრალეულობითაც ვერ განხორციელდა ანგარიშსწორება საბირჟო გარიგების ანგარიშსწორების დღეს.

32.3 დაუშვებელია იმ გარიგების გაუქმება, რომლის ანგარიშსწორებაც უკვე განხორციელდა.

თავი IX. არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება

მუხლი 33. სისტემის მეშვეობით დადებული არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორება

32.4 არასაბირჟო გარიგების შემთხვევაში, ანგარიშსწორების თარიღს განსაზღვრავენ თავად გარიგების მონაწილე მხარეები.

32.5 ცენტრალური დეპოზიტარი ახორციელებს ანგარიშსწორებას არასაბირჟო გარიგების ორივე მხარის მიერ სისტემაში შეყვანილ შემხვედრ ინსტრუქციებში მითითებული ყველა პირობის სრული დამთხვევის შემთხვევაში.

32.6 ცენტრალური დეპოზიტარი ანგარიშსწორების დღეს გადარიცხავს გამყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველი ანგარიშიდან მყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშზე გარიგებაში მითითებულ ფასიანი ქაღალდებს იმ პირობით, თუ გამყიდველის ფასიანი ქაღალდების შემნახველ ანგარიშზე არსებობს საკმარისი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები და მყიდველის შესაბამის სავაჭრო ლიმიტის ანგარიშზე განსაზღვრულია საკმარისი ოდენობის სავაჭრო ლიმიტი. აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს „მიწოდება ფულის გადახდის სანაცვლოდ“ (DVP – Delivery Versus Payment) ტიპის ტრანზაქციას.

32.7 დეპოზიტარი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ წესით გათვალისწინებული სანქციები იმ მხარის მიმართ, რომლის ბრალეულობითაც ვერ განხორციელდა ანგარიშსწორება არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორების დღეს.

32.8 არასაბირჟო გარიგება შესაძლებელია აგრეთვე დაიდოს ფულადი ანგარიშსწორების გარეშე („მიწოდება ფულის გადახდის გარეშე“ - DVP without cash leg), რა შემთხვევაშიც გარიგების ორივე მხარემ უნდა მიუთითოს ამის შესახებ შემხვედრ ინსტრუქციებში.

32.9 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი მონაწილესა და მის

კლიენტებს შორის არასაბირჟო გარიგების ანგარიშსწორების დროულობასა და სისრულეზე.

32.10 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი სისტემის მიერ დაგენერირებული დავალების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე ანგარიშსწორების აგენტის ან მონაწილის მიზეზით.

თავი X. კორპორაციული ქმედებები

მუხლი 34. ცენტრალური დეპოზიტარის ვალდებულებები კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებით

34.1 სისტემით განხორციელებულ კორპორაციულ ქმედებებს მიეკუთვნება: ფასიანი ქაღალდების ემისია, კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ემიტენტის საწესდებო კაპიტალის ოდენობასა ან/და სტრუქტურაზე; ფულით და/ან აქციების სახით დივიდენდების და/ან პრემიების განაწილება, ან მათი რეინვესტირება იმავე ფასიან ქაღალდებში; ობლიგაციებზე პროცენტების და ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდა/დაფარვა; „რაიტების“ გაცემა და განხორციელება; კომპანიის რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა); ემიტენტის მიერ საკუთარი ფასიანი ქაღალდების ვადამდელი (ნაწილობრივ ან სრული) გამოსყიდვა/ამორტიზაცია, ან მათი დაფარვის ვადის გაგრძელება .

34.2 კორპორაციული ქმედების განხორციელებისას ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოთხოვნით მიაწოდოს რეგისტრატორს, მათ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, მონაცემები ცენტრალურ დეპოზიტარში აღრიცხულ რეგისტრირებულ მესაკუთრეთა და ნომინალურ მფლობელთა შესახებ, შესაბამის ანგარიშებზე - ემიტენტის მიერ დადგენილი სააღრიცხვო თარიღისათვის - რიცხული ფასიანი ქაღალდების მითითებით.

34.3 ცენტრალური დეპოზიტარი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან (ან იმ ბირჟისაგან, რომელსაც უწევს მომსახურებას) მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც ეხება ემიტენტის მიერ განხორციელებულ კორპორაციულ ქმედებას, უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს ოპერაციები ამ ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ან/და შეასრულოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ინსტრუქციები იმ კორპორაციული ქმედების აღრიცხვის მიზნით, რომელიც იწვევს ცვლილებებს საინვესტიციო აქტივებში ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე ცენტრალურ დეპოზიტარში.

34.4 კორპორაციული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, ცენტრალური დეპოზიტარი მის მიერ 34.3 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად გატარებული

ღონისძიებების შედეგების შესახებ ელექტრონული ფოსტით უგზავნის შეტყობინებას იმ მონაწილეებს, რომლებსაც შეეხო ეს ცვლილებები.

34.5 დეპოზიტარი ასრულებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისგან მიღებულ კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს, რომლებიც შეესაბამება კანონითა და ამ წესით დადგენილ პროცედურებს.

თავი XI. ანგარიშგება

მუხლი 35. ანგარიშგება ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტებისათვის

35.1 კლიენტების მოთხოვნით ცენტრალური დეპოზიტარი შესაძლებლობის ფარგლებში დამატებით ამზადებს შემდეგ ანგარიშებს და ცნობებს:

35.1.1 ამონაწერი ანგარიშიდან, მოთხოვნილი თარიღისათვის;

35.1.2 ანგარიშიდან ბრუნვის ამონაწერი, მოთხოვნილი პერიოდისათვის;

35.1.3 პორტფელის ღირებულების შეფასების ამონაწერი, მოთხოვნილი თარიღისათვის;

35.1.4 სხვა ინფორმაციას, მათი ანგარიშების შესახებ, მათი მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 36. უზუსტობები

36.1 მონაწილე პასუხისმგებელია სისტემაში მის საკუთარ და კლიენტების ანგარიშებზე არსებული ჩანაწერების სისწორის შემოწმებაზე.

36.2 სისტემაში საკუთარ და კლიენტების ანგარიშებზე არსებულ ჩანაწერებში უზუსტობის აღმოჩენისთანავე მონაწილე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს ცენტრალურ დეპოზიტარს. დეპოზიტარი არ იღებს პასუხისმგებლობას უზუსტობის აღმოფხვრაზე თუ მონაწილე ამგვარი უზუსტობის შესახებ არ შეატყობინებს დეპოზიტარს შესაბამისი ჩანაწერის სისტემაში გაჩენიდან 3 დღის ვადაში.

თავი XII. პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია, ცვლილებები და დამატებები

მუხლი 37. შეზღუდვა პასუხისმგებლობაზე

37.1 ცენტრალური დეპოზიტარი პასუხისმგებელია მხოლოდ მისი უფლებამოსილი პირის ქმედებით დეპოზიტარის კლიენტისთვის მიყენებულ ფაქტობრივ ზიანზე.

37.2 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი ფაქტობრივ ზიანზე, რომელიც დადგა მონაწილის ან მისი კლიენტის მიერ ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, ან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე სუბიექტების (მათ შორის თვითრეგულირებადი ორგანიზაციების) წესების დარღვევის და/ან

სისტემების არასწორი გამოყენების შედეგად, აგრეთვე დეპოზიტარის კლიენტისგან, ან მისი კლიენტისგან მიღებული არასწორი/არასრული დავალების შესრულების შედეგად.

37.3 ცენტრალური დეპოზიტარი არ იძლევა გარიგებათა თანმიმდევრული (დროში ქრონოლოგიური) ანგარიშსწორების არანაირ გარანტიას.

37.4 ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია დაეყრდნოს ბირჟ(ებ)იდან, ანგარიშსწორების აგენტებისგან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისაგან და დეპოზიტარის კლიენტებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო სესიებზე დადებულ გარიგებებთან, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებთან, სავაჭრო ლიმიტებთან და სხვა მომსახურებასთან და არ აგებს პასუხს იმ ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება ინფორმაციის ამ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად.

37.5 თუ მონაწილე იყენებს კავშირგაბმულობის საშუალებებს ინფორმაციის ან დავალების ცენტრალურ დეპოზიტარში გაგზავნის ან მისგან მიღების, ან მონაცემების სისტემაში შეყვანის მიზნით, ცენტრალური დეპოზიტარი არ აგებს პასუხს ამგვარი ინფორმაციის/დავალების/მონაცემების დაზიანებაზე ან დაკარგვაზე.

მუხლი 38. ცენტრალური დეპოზიტარის გამიჯვნა მონაწილის პასუხისმგებლობისაგან

38.1 დეპოზიტარის კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი, რომელიც დეპოზიტარს მიადგა აღნიშნული კლიენტის, ან მისი კლიენტის არასწორი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

მუხლი 39. ფორს-მაჟორი

39.1 ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი მის მიერ მომსახურების გაწევის ან დავალების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია ბუნებრივი კატაკლიზმით, საბოტაჟით, გაფიცვით, საომარი მდგომარეობით, ამბოხით, სახელმწიფო გადატრიალებით, აგრეთვე მექანიკური თუ კომპიუტერული სისტემის დაზიანებით თუ დეფექტით, ელექტრომომარაგების, ინტერნეტის და კავშირის სხვა სისტემ(ებ)ის დაზიანებით, სამთავრობო, სასამართლო, ან მარეგულირებელი ორგანოს დადგენილებით ან მითითებით ან სხვა ისეთი გარემოებით რომელიც, გონიერების ფარგლებში, ცენტრალური დეპოზიტარის კონტროლს სცილდება.

მუხლი 40. კომუნიკაცია

40.1 თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მისი კლიენტებისთვის ნებისმიერი შეტყობინება

შესაძლოა მიწოდებულ იქნას დეპოზიტარის კლიენტის მიერ მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე: პირადად, კურიერით, ფოსტით, ელექტრონული გზით (მათ შორის ელ-ფოსტით), ტელეფონით, ფაქსით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სისტემით, ან მონაცემთა გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით იმის გათვალისწინებით, რომ:

- 40.1.1. დეპოზიტარის მიერ კლიენტისთვის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება კლიენტისთვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში კლიენტის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარების დღეს;
 - 40.1.2. დეპოზიტარის მიერ კლიენტისთვის ელექტრონული გზით (მათ შორის ელ-ფოსტით) ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის დღეს;
 - 40.1.3. დეპოზიტარის მიერ კლიენტისთვის სისტემით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტისთანავე.
 - 40.1.4. თუ დეპოზიტარის კლიენტი ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს დეპოზიტარს ან/და საკორესპონდენციო მისამართზე მყოფი პირი უარს განაცხადებს გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარებაზე, დეპოზიტარის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
- 40.2 დეპოზიტარის კლიენტის ყველა შეტყობინება ცენტრალურ დეპოზიტარს უნდა მიეწოდოს წერილობით პერსონალურად, დაზღვეული ფოსტით, ან ელ-ფოსტით ქვემოთ მოცემულ მისამართ(ებ)ზე:
- სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი
0186, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.
ტელეფონი: +995 322 500 211
ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
- 40.3 ცენტრალური დეპოზიტარისათვის კლიენტის შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 41. ცვლილებები და დამატებები

- 41.1 ამ წესში დეპოზიტარის მიერ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროცედურები რეგულირდება დებულებით „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა შესახებ“.
- 41.2 ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

41.3 განახლებული წესი დამტკიცებისთანავე ქვეყნდება დეპოზიტარის ვებ-გვერდზე და იგზავნება დეპოზიტარის იმ კლიენტებთან, ვისაც ეხება აღნიშნული ცვლილებები და დამატებები.

თავი XIII. გარდამავალი დებულებები

მუხლი 42. გარდამავალი დებულებები

- 42.1 წინამდებარე წესის 25.1 და 25.2 პუნქტით, აგრეთვე 29.4 პუნქტით დაწესებული მოთხოვნები, გაუქმდეს გარდამავალი პერიოდის დასრულებისთანავე.
- 42.2 გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე წინამდებარე წესის მოთხოვნები არ ვრცელდება ფასიანი ქაღალდებზე უცხოურ ვალუტაში დადებული გარიგებების ანგარიშსწორებაზე და ასეთი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა-შენახვაზე. აღნიშნული ტიპის ფასიან ქაღალდებზე გარიგებების ანგარიშსწორება და მათი აღრიცხვა-შენახვა ხორციელდება ამ წესის დამტკიცებამდე მოქმედი წესის (სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” წესი ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ, 26.12.2018 რედაქცია) შესაბამისად.
- 42.3 ცენტრალური დეპოზიტარის მოქმედი საოპერაციო პროცედურები (ფულადი სახსრების წინასწარი დეპონირების გარდა) და ფორმები ძალაშია გარდამავალი პერიოდის განმავლობაში.

დანართი №1

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი				
გაწეულ მომსახურებაზე დადგენილი გადასახდელები (ტარიფები)* (მოქმედია 2019-2021 წლების განმავლობაში)				
№	მომსახურების დასახელება	გადამხდელი	ტარიფი	გადახდის პერიოდულობა
I. სააღრიცხვო სისტემაში ჩართვა**				
1	სისტემაში მონაწილის რეგისტრაციის გადასახადი	მონაწილე	500 ლარი	ერთჯერადი
II. ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა/დახურვა, მომსახურება				
2	ანგარიშების გახსნა/დახურვა		უფასო	
	წევრის ანგარიშების მომსახურების გადასახადი	ანგარიშების მფლობელი	20 ლარი	ყოველთვიური
	არაწევრი მონაწილის ანგარიშების მომსახურების გადასახადი	ანგარიშების მფლობელი	50 ლარი	ყოველთვიური
III. ფასიანი ქაღალდების დაშვება				
3	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების დაშვება დეპოზიტარის სისტემაში (10 სამუშაო დღემდე)	განმცხადებელი	500 ლარი	ერთჯერადი
	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდის დაჩქარებული დაშვება დეპოზიტარის სისტემაში (1 სამუშაო დღე)	განმცხადებელი	1000 ლარი	ერთჯერადი
4	უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდის დაშვება	განმცხადებელი	იგივე რაც, ადგილობრივზე***	ერთჯერადი
IV. ფასიანი ქაღალდების შენახვა				
5	ადგილობრივი წილობრივი ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო	
6	უცხოური წილობრივი ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო***	

7	ადგილობრივი ემიტენტების მიერ საქართველოში გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა	ანგარიშ(ებ)ის მფლობელი	თუ აქტივების საშუალო შეწონილი ღირებულება****: ა) არ აღემატება 10'000'000 (ათი მილიონი) ლარს - 0.02%, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა; ბ) მეტია 10'000'000 (ათი მილიონი) ლარზე და არ აღემატება 100'000'000 (ასი მილიონი) ლარს - 0.015%; გ) აღემატება 100'000'000 (ასი მილიონი) ლარს - 0.01%;	ყოველთვიური გაანგარიშება და გადახდა
8	უცხოური ემიტენტების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქართველოში გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა	ანგარიშ(ებ)ის მფლობელი	იგივე რაც, ადგილობრივი ემიტენტების მიერ საქართველოში გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა***	ყოველთვიური გაანგარიშება და გადახდა
9	საქართველოს და უცხოური სამთავრობო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო***	
V. ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე				
10	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან მიღება ნომინალურ მფლობელობაში		უფასო	
11	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების გატანა რეგისტრატორში ნომინალური მფლობელის ან რეგისტრირებული მესაკუთრის ანგარიშზე	ანგარიშის მფლობელი	ფასიანი ქაღალდების ღირებულების 0.001%, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა და არაუმეტეს 500 ლარისა	ყოველ ოპერაციაზე
12	უცხოური ფასიანი ქაღალდების უცხოური დეპოზიტარისგან მიღება ნომინალურ მფლობელობაში		უფასო	
13	უცხოური ფასიანი ქაღალდების გატანა უცხოურ დეპოზიტარში ნომინალური მფლობელის ან რეგისტრირებული მესაკუთრის ანგარიშზე	ანგარიშის მფლობელი	იგივე რაც, ადგილობრივზე ***	ყოველ ოპერაციაზე
14	ბლოკირება, დაგირავება, რეპო და მათთან დაკავშირებული ოპერაციები	ანგარიშის მფლობელი	2 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
VI. კლირინგი და ანგარიშსწორება				
15	აქციებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის სანაცვლოდ (DVP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
16	აქციებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის გარეშე (FOP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
17	სასესხო ფასიან ქაღალდებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის სანაცვლოდ (DVP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე

18	სასესხო ფასიან ქაღალდებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის გარეშე (FOP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
VII. კორპორაციული ქმედებები				
19	დივიდენდის გადახდა	ემიტენტი	1 ლარი	თითოეულ თანხის მიმღებზე
20	კუპონის გადახდა	ემიტენტი	1 ლარი	თითოეულ თანხის მიმღებზე
21	ყველა სხვა კორპორაციული ქმედება	ემიტენტი	5 ლარი	თითოეულ ანგარიშზე
22	წარმომადგენლობა კრებაზე	ანგარიშის მფლობელი	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ წარმომადგენლობაზე
VIII. ცნობების გაცემა				
23	ცნობის სახით ამონაწერის გაცემა შემნახველი ანგარიშიდან	ანგარიშის მფლობელი	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
24	ცნობის სახით ანგარიშიდან ბრუნვის ამონაწერის გაცემა	ანგარიშის მფლობელი	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
25	ცნობის სახით საინვესტიციო პორტფელის შესახებ ამონაწერის გაცემა	ანგარიშის მფლობელი	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
26	გირაოს/ბლოკირების დამადასტურებელი ცნობის გაცემა	ანგარიშის მფლობელი	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
27	ცნობის სახით სხვა ინფორმაციის გაცემა ანგარიშიდან	ანგარიშის მფლობელი	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ ოპერაციაზე
IX. სხვა მომსახურება				
28	სხვა მომსახურება	ანგარიშის მფლობელი	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ მომსახურებაზე

* - ტარიფები მოცემულია დღგ-ის გარეშე.

გადახდა წარმოებს ლარებში ეროვნული ბანკის კურსით, გარდა უცხოეთიდან არარეზიდენტი მონაწილის მიერ განხორციელებული გადახდებისა. ამ შემთხვევაში ტარიფის გაანგარიშება მოხდება ინვოისის გამოწერის თარიღისთვის აშშ დოლარის ან ევროს მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

გადასახდელების, საურავის და ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს ინვოისის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. გადახდა ხორციელდება წევრის მიერ პირდაპირი გადახდით ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მონაწილის საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით.

5 სამუშაო დღის განმავლობაში პირდაპირი გზით გადაუხდელობის ან საკუთარ ანგარიშზე აქტივების არქონის შემთხვევაში, დეპოზიტარს უფლება აქვს ანგარიშის მფლობელს დააკისროს საურავი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გადახდა წარმოებს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ გამოწერილი ინვოისის შესაბამისად.

** - ამ გადასახადს ცენტრალური დეპოზიტარის წევრები არ იხდიან.

*** - ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული დეპოზიტარის დამატებითი ხარჯები (მაგ. საერთაშორისო დეპოზიტარის ან უცხოური კასტოდიანის ხარჯი).

**** - ტარიფში მითითებული პროცენტი არის წლიურ გამოხატულებაში. ტარიფის განსაზღვრა ხდება დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ფასიანი ქაღალდების თვის საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით. თვის საშუალო შეწონილი ღირებულება დაიანგარიშება დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ერთი ტიპის ფასიანი ქაღალდ(ებ)ის ჯამური ყოველდღიური საბოლოო ღირებულებით. დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ფასიანი ქაღალდ(ებ)ის ყოველდღიური საბოლოო ღირებულება გამოითვლება შემდეგნაირად:

- სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ნომინალური ღირებულების ნამრავლი.
- წილობრივი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ფასის ნამრავლი:
 - ორგანიზებულ ბაზარზე დაშვებული აქციების შემთხვევაში აქციის ფასს წარმოადგენს ყოველი დღის ბოლოს შესაბამის ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი/დაფიქსირებული დახურვის ფასი, ხოლო ამ დღის განმავლობაში აქციაზე გარიგების არ არსებობის შემთხვევაში, აიღება იმ დღის დახურვის ფასი, როდესაც ამ ფასიან ქაღალდზე დაიდო ბოლო გარიგება.
 - თუ აქცია არ არის დაშვებული ორგანიზებულ ბაზარზე, აქციის ფასად ჩაითვლება მისი საბაზრო ფასი (მოპოვებული საიმედო საინფორმაციო წყაროდან ან შეფასებიდან).
 - საბაზრო ღირებულების არ არსებობის შემთხვევაში აქციის ფასად ჩაითვლება აქციის ნომინალური ღირებულება.

დანართი №2

ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში ფასიანი ქაღალდების დაშვების
განაცხადი და წარსადგენად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი
(იბეჭდება განმცხადებლის საფირმო ბლანკზე)

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
გენერალურ დირექტორს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“
სისტემაში ფასიანი ქაღალდის დაშვებაზე

გთხოვთ, განიხილოთ ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში შემდეგი ფასიანი ქაღალდების
დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი _____;
(დასახელება)
2. ემიტენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა _____;
(საფოსტო)
3. მისამართი: _____;
(იურიდიული)
4. საკონტაქტო რეკვიზიტები _____;
(ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი)
5. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____;
(აქცია, ობლიგაცია და ა.შ)
6. განცხადებული (ნებადართული) _____;
(ფასიანი ქაღალდების რაოდენობა)
7. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____;
8. ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _____;
(ლარის /ან შესაბამისი ვალუტის მითითებით)
9. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი _____;

10. ფასიანი ქაღალდის წარმოშობა _____;
(ადგილობრივი/უცხო ქვეყნის არასაბირჟო/საბირჟო ფასიანი ქაღალდი)
11. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო № (ISIN) _____;
(თუ ამგვარი არსებობს)
12. წლიური საპროცენტო განაკვეთი და გადახდის პერიოდულობა _____;
(თუ ამგვარი არსებობს)
13. საპროცენტო განაკვეთის ყოველდღიური დარიცხვის წესი (Days per year convention) _____;
(თუ ამგვარი არსებობს)
14. მიმოქცევის ვადა _____;
(თუ ამგვარი არსებობს)
15. დაფარვის თარიღი _____;
(თუ ამგვარი არსებობს)
16. განსაკუთრებული მახასიათებლები _____
(ვადაზე ადრე გამოსყიდვის ან მიყიდვის უფლება და ა.შ.) _____;
17. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის ან დეპოზიტარის შესახებ, რომელსაც ნომინალურ მფლობელობაში აქვს ფასიანი ქაღალდები

(სრული დასახელება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და ფაქტობრივი მისამართი)
18. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ _____

(სრული დასახელება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და ფაქტობრივი მისამართი)
19. ინფორმაცია ემიტენტის საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ _____

(სახელი, გვარი, პირადი №, თანამდებობა)

განაცხადთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

- 40.1. ემიტენტის მოქმედი წესდების ნოტარიულად ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა);
- 40.2. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა);
- 40.3. საჯარო ფასიანი ქაღალდებისათვის მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტის ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი; საპრივატიზაციო და პრივატიზებულ საწარმოთათვის - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს (დაწესებულების) მიერ გაცემული პრივატიზაციის გეგმის ასლი (მისი არსებობის შემთხვევაში);
- 40.4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის პირობების ამსახველი დოკუმენტი (მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში);
- 40.5. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუ ასეთი არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში განმასხვავებელ საიდენტიფიკაციო კოდს მიანიჭებს ცენტრალური დეპოზიტარი);
- 40.6. წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ ტარიფის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 40.7. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო წესით დამოწმებული სახით.

ფასიანი ქაღალდის დაშვების შესახებ
განცხადების თარიღი „___“ _____ 20__ წ.

განაცხადზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ შევსებული მონაცემები და დოკუმენტაცია ზუსტი და უტყუარია ზემოთ აღნიშნული ხელმოწერის თარიღისათვის.

განმცხადებლის წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირის თანამდებობრივი სტატუსი, გვარი, სახელი და ხელმოწერა

ბ.ა.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
გენერალურ დირექტორს

(ორგანიზაციის სახელწოდება)

(თანამდებობის პირი, სახელი და გვარი)

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი
(სისტემის მონაწილედ დაშვების შესახებ)

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განაცხადი და დაგვიშვათ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ საგადახდო-საანგარიშსწორებო სისტემის მონაწილედ

განაცხადს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
2. უახლესი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
3. ცნობა მონაწილეობაზე კანდიდატის მმართველი ორგანოს (დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს ან/და გამგეობის) შემადგენლობის შესახებ;
4. განაცხადი ნდობით აღჭურვილი პირ(ებ)ის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან იმოქმედონ ცენტრალურ დეპოზიტართან დადებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში და გადასცენ დავალებები ცენტრალურ დეპოზიტარს ანგარიშების მომსახურების მიზნით. ამასთან, განაცხადში მითითებული უნდა იყოს მონაცემები პიროვნებათა ვინაობის და თანამდებობის შესახებ, თითოეული პირის ნოტარიულად დამოწმებული ფაქსიმილიები და თითოეული პირის პირადობის მოწმობის ასლი;
5. უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანდიდატისათვის სათანადო საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიის/ნებართვის/რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუ მისი საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას/ნებართვას/რეგისტრაციას;
6. მოვაჭრე მონაწილის სტატუსის მოსაპოვებლად - იმ საფონდო ბირჟის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ემსახურება ცენტრალური დეპოზიტარი;

7. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული ბოლო სამეურნეო წლის ინდივიდუალური და არსებობის შემთხვევაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შედგენილი ბურალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო თუ კანდიდატი საქმიანობას ერთი წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ახორციელებს, ამ პუნქტში არსებულ ინფორმაციას იგი წარადგენს დაარსებიდან განაცხადის წარდგენამდე პერიოდისათვის;

8. ინფორმაცია კანდიდატის მომსახურე ანგარიშსწორების აგენტის და საანგარიშსწორებო ანგარიშების შესახებ:

8.1 ბანკის დასახელება; _____

8.2 საკუთარი სახსრების ანგარიშის ნომერი (IBAN) _____

8.3 კლიენტების სახსრების ანგარიშის ნომერი (IBAN) ასეთის არსებობის შემთხვევაში

9. საგადახდო დავალების ასლი ცენტრალური დეპოზიტარში მონაწილედ რეგისტრაციის გადასახადის გადახდაზე.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ბ.ა.